№ 69 (10 238)
12 აპრილი, პარასკევი
ხუთშაბათი,
1974 წელი

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სპორტული ფედერაციების მიმართვა

## სსრ კავშირის ქვეყნა სპორტული ფედერაციისადმი

### მიღებულია საქართველოს სპორტული ფედერაციების სხდომებზე

**საბჭოთა** კავშირში დემოკრატიზაციის პროცესი თანდათან ძალას იკრებს, რასაც ხელს უწყობს ქვეყანაში შექმნილი საერთოპოლიტიკური ვითარება და რესპუბლიკების მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ.

ეს შეუქცევადი პროცესია, ქვეყანა სუვერენულ სახელმწიფოთა ერთობის შექმნის გზაზე დგას.

ამასთანავე, საბჭოთა კავშირის სპორტული ფედერაციების სტრუქტურა კვლავ არქაული რჩება და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემისადმი თავისი ერთგულებით ამუხრუჭებს სპორტული მოძრაობის განვითარებას დროის მოთხოვნათა სულისკვეთებით. რად ღირს თუნდაც სსრ კავშირის სპორტულ ფედერაციათა წესდებების შემდეგი პუნქტები:

„მხოლოდ ერთი საკავშირო ფედერაცია შეიძლება წარმოადგენდეს საბჭოთა სპორტული საზოგადოებრიობის ინტერესებს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ".

„მისი იურისდიქცია ვრცელდება სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე".

ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის ამჟამად მოქმედი წესდება.

საქართველოს სპორტული ფედერაციები ვერ დაეთანხმებიან ამგვარ ვითარებას.

ჩვენ პრინციპულად გამოვდივართ სსრ კავშირის სპორტულ ფედერაციათა არსებობის წინააღმდეგ, რამდენადაც ისინი ლახავენ რესპუბლიკების სუვერენიტეტს, გამორიცხავენ რესპუბლიკურ ფედერაციათა დამოუკიდებელი ფუნქციონირებისა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში მათი გაწევრიანების შესაძლებლობას, რაც გარანტირებულია მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისი პუნქტებით.

ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ შეიქმნას დამოუკიდებელი რესპუბლიკური სპორტული ფედერაციების ასოციაციები (სპორტის სახეობათა მიხედვით) ნებაყოფლობითს საწყისებზე და თითოეულ ფედერაციას მიენიჭოს უფლება, წარმოადგენდეს თავის რესპუბლიკას საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია რესპუბლიკების ფედერაციათა მიერ პარიტეტულ საწყისებზე არჩეული წევრებისაგან შეიქმნას ასოციაციები, რომელთა პრეზიდიუმებსაც რესპუბლიკური ფედერაციების პრეზიდენტები შეადგენენ.

საქართველოს სპორტული ფედერაციები ითანამშრომლებენ მხოლოდ სპორტის სხვადასხვა სახეობის რესპუბლიკურ ფედერაციებს შორის ამგვარი სტრუქტურული ურთიერთობის პირობებში, მით უფრო, რომ ამჟამად მიმდინარეობს დამფუძნებელი ყრილობები დამოუკიდებელ ფედერაციათა შესაქმნელად, რომლებიც შეძლებენ წარმოადგინონ რესპუბლიკა საერთაშორისო სპორტულ გაერთიანებებში.

ჩვენი სპორტული ფედერაციების სრული სუვერენიტეტით განპირობებულია, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ მათი აღიარების შესაძლებლობა.

საქართველოს სპორტულ ფედერაციათა საბჭოს თავმჯდომარე
ვანო ყიფიანი.

მიმართვა მოწონებულია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის მიერ.

პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი.

„ლელოს" გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 46-ე ეროვნული ჩემპიონატის გახსნის შესახებ. დავუმატებთ, რომ იგი საკმაოდ უჩვეულო ვითარებაში მოეწყო. ტურნირის ორგანიზატორები შეეცადნენ, რომ დაკანონებული ტრადიციისთვის გვერდი აეცლოთ და ნებისმიერი შეჯიბრების ეს აუცილებელი ცერემონიალი უშუალო, ყველასთვის სასიამოვნო ყოფილიყო.

მისალმებებისა და კეთილი სურვილების შემდეგ, რამაც ამაღლებული განწყობილება შემატა გახსნის ცერემონიალს, მოეწყო ტურნირის მონაწილეთა კენჭისყრა.

**პირველ** ფოტოზე: საღამოს ხსნის დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე. **მეორე** და **მესამე** ფოტოზე: „ბედს ცდიან" ოსტატობის კანდიდატები ინგა ხურცილავა და სოფიკო ნიკოლაძე. რაც შეეხება **მეოთხე** ფოტოს, მასზე ის მომენტია აღბეჭდილი, როცა ჩვენს სახელოვან დიდოსტატს ნინო გურიელს 14 ნომერი შეხვდა. აქ უჩვეულო არაფერია — კენჭისყრა კენჭისყრაა და რომელმეს ხომ უნდა შეხვედროდა ცხრილის ბოლო გრაფა (თუმცა, წმინდა სპორტული თვალსაზრისით იგი მაინცდამაინც ხელსაყრელი როდია), საქმე ისაა, რომ პირველ ტურში ნინოს „მრისხანე" მოწინააღმდეგე დიდოსტატი ნანა იოსელიანი შეახვედრა... მისმა გოგონამ სოფიკომ. ეს ასე მოხდა — საზეიმო გახსნას და კენჭისყრას ოჯახური პირობების გამო ვერ დაესწრო ნანა იოსელიანი, რომლის ნაცვლადაც ეს მისია დააკისრეს ნინო გურიელს გოგონას, პატარა სოფიკოს. შედეგი — № 1.

**გუშინ** გაიმართა I ტური, რომლის შედეგებსაც, ჩვენი გაზეთის გამოსვლის მკაცრი გრაფიკის გამო, ვერ გატყობინებთ.

**ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტორეპორტაჟი.





# შვიდკაცა: ჩვენთან და...

**რაგბის** „დღეობასთან" დაკავშირებულ „სტუდენტურ შვიდკაცას" შაბათს ვაკის სტადიონმა უმასპინძლა. დიახ, ზუსტად 167 წლის წინათ, 1823 წლის 7 აპრილს, იშვა სპორტის ეს ვაჟკაცური სახეობა, რომლის სიყვარულმა მოიყვანა აღნიშნულ სტადიონზე თბილისელი სტუდენტი მორაგბეები და მათი გულშემატკივრები. არავის აეჭვებდა, რომ ქალაქის სარაგბო საზოგადოება ღირსეულად აღნიშნავდა ამ თარიღს. დარიც ჩინებული იდგა და თამაშებიც საინტერესო უნდა ყოფილიყო.

მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ტურნირზე არ მოვიდა მისი ჩამტარებელი ორგანიზაციის, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის (სკეა) არც ერთი წარმომადგენელი. არც მსაჯები ჩანდნენ. მოკლედ, „სტუდენტური შვიდკაცა" ჩაშლის პირას იდგა და აუცილებლად ჩაიშლებოდა კიდეც ქართული რაგბის ასოციაციის მდივანი ნუგზარ გაბრიჩიძე რომ არა. მან იკისრა თამაშების მსაჯობა და კარგადაც გაართვა თავი მოვალეობას.

ფინალში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი და მეორე გუნდები წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ. მანამდე კი...

პირველ წრეში „სტუ-პირველმა" იოლად სძლია უნივერსიტეტის მეორე გუნდს (24:0), მეორე წრეში კი ღირსეულ წინააღმდეგობას წა-

იხ. მე-4 გვ.

# ფილმს იღებს ანტენ-2

...ამ თავბრუდამხვევ კადრებს ხშირად გამოუფხიზლებია ტელევიზორთან მთვლემარენი. ლაპარაკია ოკეანის გიგანტურ ტალღებზე მონავარდე და უმაღლეს მწვერვალთა სახიფათო ციცაბოებიდან დაშვებულ მოთხილამურეებზე, რასაც დროდადრო გვთავაზობენ პროგრამა „ვრემიას" დასასრულს. ახლა წყნარი ოკეანისა და ჰიმალაიში გადაღებულ კადრებზე არანაკლებ მოხიბლავს მაყურებელს კავკასიონზე, კერძოდ, გუდაური-ხდის ხეობასა და მყინვარწვერზე გადაღებული ტრიუკები. ამ მიზნით, საქართველოში ჩამოვიდა ანტენ-2-ის კინოჯგუფი მსოფლიოში სახელგანთქმული პროფესიონალი სამთო-მოთხილამურის დომინიკ პერეს მეთაურობით, რომელიც ტურისტულ ფირმა „სტვ"-ში მუშაობს.

ამ ფირმის შესახებ რამდენიმე დღის წინ გადაცემა „ნაშუადღევის" წყალობით მიიღო გარკვეული ინფორმაცია ქართველმა ტელემაყურებლებმა. კერძოდ ის, რომ ფირმის (სარასინ-ტაკან-ვლასოვი), ერთ-ერთი შეფთაგანი, ალექსეი ვლასოვი დედით ქართველია და სწორედ მისი ინიციატივითაა, რომ საქართველოში შეიქმნას ეს ფილმი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს შემოდგომაზე ჟენევაში გამართულ ე. წ. ექსტრემალური ფილმების მსოფლიო ფესტივალში. როგორც ყოველთვის, იქ მარტო წყალზე და თოვლზე თხილამურებით სრიალი და სრიალის ამსახველი ფილმები იქნება წარმოდგენილი. ამ ათწუთიანი ფილმის გმირი იქნება, როგორც, ალბათ, უკვე მიხვდით, მსოფლიო რეკორდსმენი დომინიკ პერე. მას ეკუთვნის სიმაღლიდან თხილამურებით ხტომის მიღწევა. სხვათა შორის, იგი მთიდან დაშვებისას საათში 208 კილომეტრ სისწრაფეს ავითარებს. მასთან ერთად ჯგუფში არის ჟან პოლ ლემერსი, რომელიც საფრანგეთის ალპებში გამყოლად მუშაობს. ამ ათწუთიანი ფილმის გარდა, რომლის სპონსორია „სტვ", ჯგუფი გადაიღებს კიდევ ერთ ფილმს, რომელიც საქართველოზე შეიქმნება. ანტენ-2 მას საფრანგეთში უჩვენებს.

ჯგუფის ვიზიტის მიზანია, აგრეთვე, ქართველ მთამსვლელებთან კონტაქტების დამყარება და ჯგუფების გაცვლა-გამოცვლა.

გუშინ სტუმრები, რომელთაც სურათზე ხედავთ, საქართველოს ალპიურ კლუბს ეწვივნენ და გაეცნენ ქართული ალპინიზმის მიღწევებს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ფინიში სულ ახლოა

**გუშინწინ** მოსკოვში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ არმიელებსა და თბილისის „დინამოს" შორის. ცსკა-სთვის ამ შეხვედრის შედეგს პრაქტიკული ღირებულება არ ჰქონდა, ვინაიდან წინა ტურში გაინაღდა ჩემპიონობა. და მაინც, არმიელებმა ბრძოლა მონდომებით ჩაატარეს და გამარჯვებასაც მიაღწიეს — 95:74 (44:28).

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 42 | 37 | 5 | 79 |
| „დინამო" (მ.) | 44 | 32 | 12 | 76 |
| „კალევი" (ტალ.) | 44 | 28 | 16 | 72 |
| „ბუდიველნიკი" (კ.) | 42 | 28 | 14 | 70 |
| ასკ (ალმა-ათა) | 43 | 27 | 16 | 70 |
| ვეფ (რიგა) | 44 | 24 | 20 | 68 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 44 | 23 | 21 | 67 |
| „შახტიორი" (დონ.) | 44 | 14 | 30 | 58 |
| „დინამო" (თბ.) | 43 | 13 | 30 | 56 |
| რტი (მინსკი) | 44 | 12 | 32 | 56 |
| „უალგირისი" (კაუნ.) | 44 | 17 | 27 | 54 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 44 | 6 | 38 | 46 |

# ასე — დავილუპეთ, ხალხო!

### 1. პროლოგი არასასიამოვნო ფაქტით

**წელიწადზე** მეტია, რაც ადამიანთა ერთმა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, კალინინის რაიონის ოფიციოზის მხარდაჭერით შემოგვთავაზა სიურპრიზი, რომელმაც არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. საქმეში ჩახედული სპორტის შესვეურები, ბავშვთა სპორტის ჭეშმარიტი ქომაგები ახმაურდნენ — ამ საქმეს ჩვენ ასე არ დავტოვებთო, — თუმცა მათი მუქარა ბიუროკრატთა კაბინეტებთან ყურყუტში თანდათან ჩაცხრა; მეორენი, უმთავრესად ნორჩ მოჭიდავეთა მშობლები, მცირე ხანს აწრიალდნენ, მაგრამ, ჩვენ ვინ დაგვიგდებს ყურსო, — იფიქრეს და ისინიც გაჩუმდნენ; მესამენი — კალინინის რაიონის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი ამ აქტის ჩადენაში ვერავითარ დანაშაულს ვერ ხედავდნენ და, ბუნებრივია, დუმდნენ.

მაინც, რა მოხდა?

გრიბოედოვის ქუჩის 14 ნომერში კლასიკური სტილის ორმოკაათამდე ნორჩ მოჭიდავეს თანდათან, მეთოდურად გუდა-ნაბადი აუკრეს და რვა წლის მანძილზე მოძუშავე სპორტული სექციისგან გამოთავისუფლებულ დარბაზში გახსნეს ათლეტური ტანვარჯიშის ფასიანი ჯგუფები; ამასთან, თითოეული მოვარჯიშისაგან საკმაოდ სოლიდური გადასახადის გამო ვინმეს მათთვის კოოპერატორთა იარლიყი რომ არ მიეკერებინა, დარბაზის კარებზე მოჭიდავეთა აბრა მოხსნეს და მის ადგილზე მიამაგრეს ბევრის დამფარავი წარწერა — „კულტურული ცენტრი“., (ამ დასახელების შესახებ კომკავშირის რაიკომში მაცნობეს, თვით ათლეტური ტანვარჯიშის მესვეურები უარყოფენ — ეს ჩვენი დაყენებული წარწერა არ არისო, თუმცა საქმის არსისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს).

ერთი თვეა, რაც მოჭიდავეთა თხოვნით საქმეს გავეცანი (ბოლო ხანს სეოკ-ის სახელზეც შემოვიდა მშობელთა წერილი), ვესაუბრე ხელმძღვანელთა ერთ ნაწილს და, დახეთ საოცრებას, — არცერთი მათგანი იოტისოდენ დანაშაულსაც არ გრძნობს. პასუხისმგებლობის გრძნობა, რატომღაც არავის აწუხებს.

### 2. „ბიჭი“ ენთუზიასტები და ჭკვიანი პრაქტიკოსები

**დრო** დადგა ასეთი. დღეს, ნაღდ, გულწრფელ ენთუზიასტებს ბიჭებად ნათლავენ. სწორედ ასეთმა ორმა ახალგაზრდამ, სპორტის ოსტატებმა ალექსანდრე ჭყონიამ და ვიტალი სუთიაშვილმა ამ რვა წლის წინ აღმოაჩინეს გრიბოედოვის ქუჩის მე-14 სახლის მიტოვებული სარდაფი, რომელიც საყოფაცხოვრებო ნაგვით იყო სავსე. დი



აპიწეს ხელები, მოიზიდეს ახლო-მახლო მცხოვრები, კლასიკური ჭიდაობის მოყვარული ბავშვები, სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ყურადღებაც მიიქციეს და სამ თვემი ჭიდაობის დარბაზი ამოქმედეს. რაიონის არცერთ ორგანიზაციას ამ საქმეში, როგორც იტყვიან, თითი თითზე არ დაუკარებია.

რვა წელიწადს იმუშავეს ენთუზიასტებმა. რვა წლის მანძილზე ძირითადი სამუშაოს შემდეგ მოდიოდნენ მუხიანის დასახლებიდან გრიბოედოვის ქუჩის ნორჩ მკვიდრთა სავარჯიშოდ... გასამრჯელოს არავინ აძლევდათ, არც ვინმე თხოულობდა. წარმატებამაც არ დააყოვნა: ლ. ჯიმშელეიშვილი და გ. ხარებავი ქ. ტაგანროგის საკავშირო ტურნირის ჩემპიონები გახდნენ, პროფკავშირთა საკავშირო პირველობა ქ. დუშანბეში მოიგო ლ. ჯიმშელეიშვილმა, მესამე პრიზიორები გახდნენ ტ. მეიფარიანი და ზ. კეკელია, უფროსთა შორის ნ. მიქაბერიძე საქართველოს ჩემპიონი გახდა, საკავშირო ტურნირზე კი მეორე პრიზი დაიმსახურა, დ. როსტიაშვილმა. საქართველოს ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა, ტ. ვაშაკიძემ ყველას გაუსწორა ლიპეცკში გამართულ საკავშირო ტურნირში, საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებაზე თავი ისახელეს ბ. ბერძენიშვილმა, დ. მორგოშიამ, ვ. კობახიძემ, კ. მელქაძემ, გ. ღვინიამვილმა. აღარას ვამბობ საქართველოს ჩემპიონატების პრიზიორებზე, რომლებიც ამ პატარა დარბაზში აღიზარდნენ.

ერთი სიტყვით, გრიბოედოვის ქუჩის 14-მა ნომერმა მიიზიდა ჭაბუკები, გამოაწრთო ისინი, ჩააყენა რესპუბლიკის ღირსების დამცველთა რიგებში.

იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი: ამ ქუჩისა და მის ახლო-მახლო მცხოვრები 50-ზე მეტი ბავშვი მოწყდა ქუჩას, მის მავნე გავლენას, სპორტმა დაიმორჩილა ბიჭები, ამ სიტყვის კარგი გაგებით.

ასე გრძელდებოდა 1988 წლის სექტემბრამდე, ვიდრე გ. ხომერიკის ხელმძღვანელობით ათლეტური ტანვარჯიშის მოყვარულები აწვევნენ თბილისის ნორჩ მოჭიდავეთა მესვეურებს და ასეთი წინადადებით მიმართეს: „დარბაზი კაპიტალურ რემონტს საჭიროებს, ამ საქმეს ჩვენ ვკისრულობთ, ოღონდ კვირაში სამ დღეს, როცა თქვენი მოჭიდავეები არ ვარჯიშობენ, ჩვენ დავიკავებთ დარბაზს; კომკავშირის რაიკომი, საბინაო ტრესტი, რაიონის სპორტკომიტეტი, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი თანახმანი არიანო.

მოჭიდავეებმა გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ რაიონის ხელმძღვანელობამ მათი თხოვნა დარბაზის რემონტის შესახებ რამდენჯერმე უყურადღებოდ დატოვა და ამ მაცდუნებელ წინადადებას დასთანხმდნენ. (ამ შეთანხმების ტექსტი რაიონის სპორტკომიტეტში დაიწერა და იგი დღესაც იქ ინახება). ამასთან, დილარ ხაბულიანმა, წარსულში ცნობილმა მოჭიდავემ, გაიფრთხილა შემოთავაზებული წინადადების ავტორები: — ისე არ მოხდეს, რომ რემონტის შემდეგ ნორჩ მოჭიდავეებს საერთოდ დაუხშოთ დარბაზის კარი! ა. ხომერიკმა თავი ლამის შეურაცხყოფილად იგრძნო, როგორ გეკადრებათ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ხელშეკრულებაში დაიწერაო.

მაგრამ, ისე თქვენს მტერს აუხდეს ოცნება! ხომერიკის ჯგუფმა საჭიდაო ლეიბები გარეთ გამოყარა, ძველიაო, ლეიბებს სხვა დანადგარებიც მიაყოლა, დარბაზს სასწრაფოდ რკინის კარი შეაბა, მის ვვერდზე კი აბრა, რომელიც დარბაზს მოჭიდავეთა საკუთრებად აცხადებდა, სადღაც გააქრო. როცა მწვრთნელებმა პირობის შესრულება მოითხოვეს, დარბაზის ახალმა მობინადრეებმა გასაღები არ მისცეს, აქ ლეიბების დაგება და ვარჯიში შეუძლებელია, დარბაზის კედლებში მთლიანად ჩვენი დანადგარები ჩამონტაჟდა, მოჭიდავეები არ გეცოდებათ, ისინი ხომ ამ დანადგარებს წარამარა მიეხლებიან და თავებს დაიხეთქავენო. ერთი სიტყვით, მოჭიდავეები თავიდან მოიშორეს, სადაც გინდათ გვიჩივლეთო.

### 3. რკინის ქალამანის ჩაცმაც, ამაო გამოდგა

**ოთარაანთ** ქვრივისა არ იყოს, რკინის ქალამნებითა და რკინის ჯოხით აღჭურვილმა ბიჭებმა შემოიარეს ყველა ინსტანცია, მაგრამ ამაოდ. მაშინ მიმართეს საქართველოს არასაუწყებო დაცვის მილიციის უფროსს გივი ყვარელაშვილს (ნორჩ მოჭიდავეთა კლუბი სწორედ მისი სახელობისა იყო), ბატონმა გივიმ მიაკითხა კლუბს, ბევრი იდავა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მეც მომმაკითხეს, როგორც სეოკ-ის აღმასკომის წევრს. ჩამოვიარე მრავალი ორგანიზაცია, ვესაუბრე მათ ხელმძღვანელებს და გუნება წამიხდა: ყველა მათგანი, როგორც ერთი, თავს იმართლებდა, და რაც უფრო საწყენია, სინანულის ნატამალიც კი არავის გამოუთქვამს იმის გამო, რომ 50 ბიჭუნა ისევ ქუჩას შეატოვეს.

— „იმ დარბაზში მაინც აღარავინ ვარჯიშობდა, ფაქტიურად ცარიელი იყო“, — თავის გამართლებას ცდილობენ ახლა. სრული სიცრუეა! რემონტის დაწყებამდე ამ დარბაზში ნიადაგ ვარჯიშობდნენ ბავშვები. ამასვე ადასტურებს ოცამდე გამოკითხული ბავშვი. ანდა, საინტერესოა, რა იციან, დარბაზი ცარიელი იყო თუ გადატვირთული, როცა არც კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, არც რაიკომის არცერთ წარმომადგენელს ამ რვა წლის განმავლობაში იქ ერთხელაც არ შეუდგამს ფეხი?! და გარდა ამისა, პირადად მე თითქმის ყოველ თვეს ვკითხულობდი ლექციებს ამ ბიჭებთან, უშუალოდ დარბაზში, და აქ სიცარიელე არასოდეს მინახავს.

— „აქ გრიბოედოველი ბიჭები არ ვარჯიშობდნენ, უფრო მეტად სხვა ქუჩებიდან იყვნენო“, სხვაგან ეს არგუმენტი მოათრიეს ყურით, თითქოს ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. მაინც გადავწყვიტე დამეზუსტებინა ეს უსუსური და, ბავშვი რომ არ იკადრებს, ისეთი საბაბი: მოვარჯიშეთა დიდი ნაწილი გრიბოედოვის, ენგელსისა და სხვა ქუჩებიდანაც არიან.

— „ჭიდაობა, მართალია, ახლა აღარ იმართება, მაგრამ, განა ნაცლებმნიშვნელოვანია ახალი კულტურული ცენტრის შექმნა?“, — ეს უკვე კომკავშირის რაიკომში მითხრეს. აქ ორი აზრი არ არსებობს, ცხადია, კარგია, მაგრამ, როცა ეს კარგი საქმე 50 ბავშვის სავარჯიშო კერის მოშლის გზით მოხდება, აი, ეს გახლავთ ცუდი. აქ კიდევ ერთი რამ მითხრეს: „თუ ბატონი გივი ყვარელაშვილი ნაწყენი რჩება, რომ ჩვენს მიერ დაშლილ კლუბს მისი სახელი ერქვა, შეგვიძლია გამოვასწოროთ შეცდომა — მის სახელს ახალ ათლეტურ კლუბს დავარქმევთო“ (?!).

### 4. სად წავიდნენ ბიჭები?

**ეს** კითხვა ზემოთ მრავალჯერ ნახსენები ოფიციალური ორგანიზაციების არცერთ ხელმძღვანელს არ დაჰბადებია. როგორი საქმეა: 50 ბავშვი შენი მიზეზით, ჩარევით, ხელშეწყობით სწყდება სისხლსავსე ცხოვრებას, რაიონის ახალგაზრდობისა თუ სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელი გქვია, და წლინახევრის განმავლობაში ერთხელაც არ დაინტერესდები მათი ბედით!

რას იზამთ, იქნებ ახლა მაინც გაიგონ მათ მიერ განწირული ბიჭების ბედი. მოჭიდავეთა ერთი ნაწილი, ვისაც ამისი საშუალება ჰქონდა, ახლა დადის თავიანთი მწვრთნელის ა. ჭყონიას ძირითად სამუშაო ადგილზე, აღმაშენებლის გამზირზე, და იქ აგრძელებს წვრთნას; ზოგმა, ვინც ვარჯიშს შეეთვისა, მაგრამ ახლომახლო ჭიდაობის დარბაზი არ ეგულებოდა, პროფესია შეიცვალა (ასე მოიქცა, მაგალითად, ბატონ ლევან ღვინჯილიას ვაჟი, რომელმაც ცურვაზე დაიწყო სიარული), ზოგი კი ისევ ქუჩის გავლენის ქვეშ მოექცა, ცომელთაგანაც ერთი სკოლიდანაც გარიცხეს, მეორის მშობელი კი შეევედრა ა. ჭყონიას, ვარჯიშის შეწყვეტის შემდეგ ჩემი ბიჭი ლამეს შინ აღარ ათევს, ვიცი, შენი ერიდებოდა და პატივს გცემდა, მიშველე, იქნებ დაგიჯეროსო, მესამე წვრილმანი ხულიგნობისათვის მილიციაში მოხვდა.

ასეთი არასასიამოვნო რეციდივებით გასცა ცხოვრებამ პრაქტიკული პასუხი „ოფიციოზის“ მცდარ ნაბიჯს.

გრიბოედოვის ქუჩაზე ცხოვრობს ამ საჭიდაო სექციის აღზრდილი, ქალაქის ჩემპიონი თამაზ გოგელია. მე ვესაუბრე მას. თურმე, ერთხელ, ამ კულტურულ ცენტრში ვარჯიში მოუსურვებია; შეშვებით კი შეუშვეს, მაგრამ 25 მანეთი დაუჯეო, უთხრეს. დედამ გამონახა თანხა (მამა შარშან გარდაეცალა თამაზს და მისი ოჯახი დედის მოკრძალებული ხელფასით ცხოვრობს), მაგრამ მომდევნო თვეს ჭაბუკი იძულებული გახდა დარბაზი მიეტოვებინა, ოჯახისათვის ძნელი გამოდგა წელიწადში სამასი მანეთის გადახდა.

მიაქციეთ უურადღება: გრიბოედოვის 14-ში, როცა საჭიდაო დარბაზი შუაობდა, რაიონის ხელმძღვანელებიდან არავინ იცოდა მისი არსებობა, ახლა კი, ათლეტური ტანვარჯიშის ფასიანმა ჯგუფებმა რომ დაიკავა, — ყველა დაფაცურდა; კომკავშირის რაიკომში ისიც მითხრეს, რომ ამ კულტურული ცენტრისადმი სპეციალური კონტროლი გვაქვს დაწესებულიო. ზემოთ აღვნიშნე, ამ საჭიდაო კლუბის შესახებ რაიონში თითქმის არავინ არაფერი იცოდა-მეთქი, არადა, საკმაოდ სოლიდური წერილები, მასზე სათანადო ფოტოსურათებით, რვაჯერ დაიბეჭდა გაზეთ „ლელოში“, ამავე გაზეთში გამოქვეყნდა ჩემი წერილი ამ კლუბში მოშუშავე ენთუზიასტებზე, საკმაოდ ვრცელი მასალა შეტანილია ერთ-ერთ წიგნშიც.

გაზეთებსაც აღარ კითხულობენ ეს დალოცვილები?!

### 5. მთავარი საფიქრალი.

**პირდაპირ** ვიტყვი, იქნებ ამ თემაზე სტატიის დაწერისაგან თავი შემეკავებინა, ერთი გარემოება რომ არ მაფიქრებდეს: ზემოხსენებული ამბები იშვიათი აღარ გახლავთ, იგი ადრეც აღშფოთებდა სპორტულ სამყაროს, როგორც ვხედავთ, არც ახლა წყდება და მავანნი მომავალშიც შემოგვტევენ. მე იმანაც აღმაშფოთა, რომ ლევან თედიაშვილისა და რომან რურუას სახელობის კლუბების დახურვა-გაუქმება ჯერ მონელებულიც არ გვქონდა, რომ ახლა შესამე კლუბიც მიაყოლეს მათ.

არ ვიცი რას მივაწერო (შეიძლება გაიგეს, რომ ამ თემაზე წერილი მზადდებოდა), მაგრამ ბოლო დღეებში ამ სტატიაში მოხსენებულმა ზოგიერთმა „გმირმა“ დაზარალებულთა მიმართ ორიოდე დასამშვიდებელი სიტყვა გამოიმეტა: „კულტურული ცენტრის“ ხელმძღვანელმა გ. ხომერიკმა მწვრთნელ ვ. სუთიაშვილს შესთავაზა — გამოგზავნე ჩვენს დარბაზში ზოგიერთი პერსპექტიული მოჭიდავე, სხვადასხვა დანადგარებზე კუნთები დაამუშაონო, რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. ქამუშაძემ კი აღუთქვა — სადმე სარდაფს გამოგიძებნით, მოაწყეთ და განაახლეთ მოჭიდავეთა მეცადინეობაო. მაგრამ ბ-ნი გ. ხომერიკი სპორტსმენი კაცია და მას ხომ კარგად მოეხსენება, რომ შარტო დანადგარებით მოჭიდავე ვერ გაიზრდება, მას ლეიბი, არენა სჭირდება, რაც შეეხება ახალი სარდაფის გამოძებნას, ხომ შეიძლებოდა იგი „კულტურული ცენტრის“-თვის“ გამოეძებნათ, ეს დარბაზი კი შეენარჩუნებინათ, როგორც რაიონის ნორჩ მოჭიდავეთა ფაჯანსაღების კერა?

იქნებ ვცდები (ღმერთმა ქნას!) და დაპირებები შესრულდეს, მაგრამ, რატომღაც, არ მჯერა იმ ადამიანებისა, რომელთა ერთი ნაწილი 50 ბავშვს ქუჩაში გამოყრის, მეორე ნაწილი ხელს შეუწყობს ამ საძრახის საქმეში, და მაინც მშვიდად სძინავთ — ჩვენს მოქმედებაში არავითარი იურიდიული კრიმინალი არ ჩანს.

კრიმინალამდე საქმე, მართლაც, არ მისულა, მაგრამ საკითხის მორალურმა მხარემ თავისი სიმძიმით ბეჭები უნდა ჩაუზნიქოს ყველას, ვისაც ეს ეხება. და ბოლოს — მთავარი: ერთი დარბაზის დახურვა და 50 ბავშვის იქიდან გამოყრა, საბედნიეროდ, მაინც არ ასრულებს გადამწყვეტ როლს ერის ბედის გამსაზღვრაში, მაგრამ თუ მომავალ საქართველოში თან გადაგვყვა 70 წლის მანძილზე ტვინნაჭყლეტი ოფიციოზის ასეთი აზროვნება, ბავშვებისადმი დამოკიდებულებაში გაბატონებული ატმოსფერო, როცა ნორჩთა მიმართ არავითარი პასუხისმგებლობა არ იგრძნობა, — დამიჯერეთ, დავიღუპებით, აუცილებლად დავიღუპებით!

ამ მხრივ ზემოთ აღწერილი ამბავი მკაცრ გაფრთხილებად და გაკვეთილად უნდა გამოგვადგეს!

**წერილი მომზადდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომისა და გაზეთ „ლელოს“ რედაქციის დავალებით.**

**ავთანდილ ციბაძე.**

## სარბიელზე მხოლოდ ქალებია

**ქუთაისის** ქალთა სპარტაკიადაზე 1300-ზე მეტი მონაწილე იყო — ისინი 15 სახეობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

პირველ ჯგუფში (შრომით კოლექტივებს შორის) გაიმარჯვა გელათის სამკერვალო გაერთიანების გუნდმა, მეორე ჯგუფში, სადაც ასპარეზობდნენ საშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლეები, გაიმარჯვა პოლიტექნიკური ტექნიკუმის კოლექტივმა, ხოლო პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდი გამარჯვებული გამოვიდა უმაღლესი სასწავლებლებისა და სპორტული კლუბების წარმომადგენლებს შორის ბრძოლაში.

ღვინის ქარხნის კოლექტივი ასპარეზობაზე მონაწილეობის მაგიერ... მხოლოდ განაცხადის წარმოდგენით დაკმაყოფილდა, ხორცკომბინატის კოლექტივი კი საერთოდ არ გამოჩენილა.

დასანანია, რომ სამედიცინო სასწავლებლის გუნდი, რომელიც მთლიანად გოგონებითაა დაკომპლექტებული, ბოლო ადგილზე გავიდა. არადა, ეს კოლექტივი მუდამ წარმატებით მონაწილეობდა მსგავს ღონისძიებებში.

**ჯ. ჭვიციანი,**
**„შევარდენის“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.**

**ტყიბულში** ქალთა სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი.

საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ლენინის სახელობის შახტის ფიზკულტურის კოლექტივმა, მეორე — სამკერვალო ფაბრიკამ, მესამეზეა კომუნალურ საწარმოთა კომბინატის ფიზკულტურის კოლექტივი.

**ზ. ახვლედიანი,**
**„შევარდენის“ ტყიბულის საქალაქო საბჭოს ინსტრუქტორი.**

## გუნდურიც, პირადიც

**ჩოგბურთის** 100-ზე მეტი ნორჩი ოსტატი შეიკრიბა ზაპოროჟიეში ჭაბუკთა „მეგობრობის თასის“ გათამაშებაზე. წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ჩოგბურთელები — საზოგადოება „შევარდენის“ ბავშვთა — ჭაბუკთა სპორტული კომპლექსის (დირექტორი ლევან ქურხაშვილი, მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ნიკოლოზ ელერდაშვილი) აღსაზრდელები, რომლებმაც გუნდური პირველობა მოიპოვეს.

განსაკუთრებით კარგად იასპარეზა თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ დავით ელიაურმა. რომელიც უძლიერესი იყო 1978-1979 წლებში დაბადებულთა შორის. უფროს ასაკში (1976 წელს დაბადებულნი) მესამე ადგილზე გავიდა თბილისელი ცოტნე გამყრელიძე.

**არტემ ყარსელი.**

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### I ჯგუფი

**გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის.**

**„ჩიხურა“ (საჩხერე) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0:2. მსაჯი ზ. დარჩია (თბილისი).** გოლები: ვ. კილასონია, ა. ზაალიშვილი („ალაზანი“).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:0. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი).** გოლები: მ. გეწაძე, ზ. ჭანკვეტაძე, კ. ჩინჩალაძე („საპოვნელა“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ჯ. ჭულუხაძე და მ. გეწაძე („საპოვნელა“).

**„ქართლი“ (გორის რ-ნი) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 1:2. მსაჯი ო. გაგუა (ხოხუმი).** გოლები: გ. ჩიბაშვილი, ა. კიურჯიევი (ტექ. უნივ.), დ. ტეტუნაშვილი („ქართლი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ჯ. გაგნიძე და ე. გელაშვილი („ქართლი“).

**„იმერეთი“ (ხონი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:1. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: დ. თვალაბეიშვილი, ა. ძიძიშვილი-2 („იმერეთი“), ტ. კანდელაკი („არმაზი“).

**„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: თ. ბაბილაშვილი, ნ. თედეშვილი („ბახტრიონი“), ნ. კიკნაძე („მარგვეთი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს თ. ბაბილაშვილი („ბახტრიონი“), ხოლო მსაჯთან კამათისთვის — ზ. გურიელიძე („მარგვეთი“).

**„შუქურა“ (ქობულეთი) — „სიონი“ (ბოლნისი) 1:1. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (ოზურგეთი).** გოლები: დ. ფხაკაძე („შუქურა“), ბ. უგულავა („სიონი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს დ. ფხაკაძე („შუქურა“), სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდებისთვის — გ. გაბიძაშვილი („სიონი“).

**„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:1. მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული).** გოლები: მ. ქაშაკაშვილი („მაღაროელი“), კ. ხარებავა („სამეგრელო“).

მოწინააღმდეგის ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს კ. ჩხეტია („სამეგრელო“).

**„არაგვი“ (დუშეთი) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:1. მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი).** გოლები: ა. წიკლაური („არაგვი“), ნ. ჩიკინოვი („სქური“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს მ. ფუხაშვილი („არაგვი“).

**„კახეთი“ (თელავი) — ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) 1:2. მსაჯი ხ. პრავოვი (გაგრა).** გოლები: ვ. გაგნიძე („კახეთი“), პ. მეტრეველი, დ. ძაგანია (ფიზკ. ინსტიტუტი).

**„დინამო“ (გაგრა) — „ხულორი“ (ვანი) 2:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).** გოლები: მ. მოსიავა, გ. გოგიაშვილი („დინამო“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს გ. გოგიაშვილი („დინამო“).

## მივგაქოთ „მრეტელს“!

**მინიფეხბურთის** კიდევ ერთი ლამაზი დღესასწაული გვაჩუქა გულშემატკივართა შორის საკმაოდ ცნობილმა კოოპერაციულმა საფეხბურთო კლუბმა „მრეტელმა“. ამ რამდენიმე დღის წინ მისი თაოსნობით თბილისის სპორტის სასახლეში მოეწყო მეტად საინტერესო ჭაბუკთა ტურნირი მინიფეხბურთში. ქალაქის სხვადასხვა საფეხბურთო სკოლების „იბერიის“, „ავაზის“, „მერცხალის“, „მამულის“, „გლდანის“, „მიმინოს“, „ჯორჯიასა“ და „ლილეს“ ნორჩ ფეხბურთელთათვის სპორტის სასახლის მოედანი შესაძლებლობათა ხაქსიმალური გამოვლენის ნამდვილ ასპარეზად იქცა. დასანანია, რომ ტურნირს, როგორც ჩანს, არ ჰქონდა შესაფერისი რეკლამა და პატარების ულამაზეს გოლებსა თუ გონებამახვილ ფინტებს მაყურებელთა სიმცირის გამო დიდი ოვაციები არ მოჰყოლია. მათ კი, ვინც იხილა მოზარდთა თამაში, ნათლად დაინახა ჩვენი ბავშვთა ფეხბურთის დიდი პოტენციალი, ქართული ფეხბურთის მომავალი.



ვერავინ დაგვარწმუნებს იმაში, რომ 80-კაპიკიანი ბილეთებით, თან თუ მაყურებელიც არც ისე მრავლად იყო, „მრეტების“ შემოსავალი ერთიორად გაიზრდებოდა. სხვისი არ ვიცი, მე კი მგონია, ტურნირის ორგანიზატორებს მხოლოდ თავიანთი „საჯანაბო“ ქისიდან მოუწევდათ თანხის გაცემა. მით უმეტეს, რომ ტურნირის პრიზიორებს სამახსოვრო თასებთან ერთად საჩუქრად „ადიდასის“ ნაწარმის სრული კომპლექტები გადაეცათ. ვერაფერს იტყვი, მშვენიერი სიურპრიზია, მის აღმზრდელობით-წამახალისებელ ეფექტზე რომ არაფერი ვთქვათ.

ახლა თვით ტურნირის შედეგების შესახებ. უპირველესად, გვიხდა აღვნიშნოთ „მერცხალი“ (მწვრთნელი ი. რუხაძე), რომელმაც, მართალია, მეოთხე ადგილი დაიკავა, გულშემატკივარი მოხიბლა თავისი ლამაზი, ლაღი, ტექნიკური თამაშით და „მაყურებელთა სიმპათიის“ პრიზი დაიმსახურა. ტურნირში გამოდიოდნენ 70-იანი წლების თბილისის „დინამოს“ ყოფილი მოთამაშეების: რამაზ შენგელიას, გოჩა მაჩაიძის, დავით მუჯირის, ილია რუხაძის ვაქები. მაყურებელმა აღტაცება ვერ დაფარა პატარა ვიტალი დარასელიას მოედანზე ხილვისას.

ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა 35-ე სპეციალიზირებული საფეხბურთო სკოლის გუნდმა „მამულმა“ (მწვრთნელი ს. სირაძე), II ადგილი წილად ხვდა ამავე საფეხბურთო სკოლის წარმომადგენელს „გლდანს“ (მწვრთნელი გ. მაისურაძე), III ადგილზე გავიდა „იბერია“ (მწვრთნელი თ. ჩარკვიანი). საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა იბერიელ ირაკლი სულავას, მცველისა — ზურაბ მეტრეველს („მერცხალი“), საუკეთესო ნახევარმცველის და თავდამსხმელის პრიზი წილად ხვდათ გლდანელებს — გია კვარაცხელიას და ლევან ბაჯელიძეს. ყველაზე აგრესიულ ფორვარდად აღიარეს თენგიზ ენუქიძე („მერცხალი“), ხოლო საუკეთესო ბომბარდირი გახდა დავით პეტრიაშვილი („მამული“).

დასასრულს, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ შეჯიბრებათა ჩატარება ტრადიციად უნდა ვაქციოთ, ამიტომ, მივმართოთ „მრეტებს“ და ხელი შევუწყოთ მსგავსი ღონისძიებების ჩატარებაში.

**ინგა ჩახვაშვილი.**

* * *

**სურათებზე: „მამულის“ გუნდი; ტურნირის ეპიზოდები.**
**ა. კოტორაშვილის** ფოტოები.

# მაყურებელი ლამაზ თამაშს ელის

**ძალას** იკრებს რესპუბლიკის პირველი საფეხბურთო ჩემპიონატი, განვლილია პირველი ორი ტური, თამაშების უმრავლესობამ მაღალ დონეზე ჩაიარა, სასიამოვნოა ერთი გარემოებაც — განვლილ შეხვედრებში რესპუბლიკის ჩემპიონატში მონაწილე ქალაქების სტადიონების უმეტესობა სავსე იყო მაყურებლით. გულშემატკივარი თამაშზე თავისი გუნდის გასამხნევებლად, ლამაზი ფეხბურთის სანახავად დადის და არავის უფლება არა აქვს მათ ეს ზეიმი ჩაუშწაროს. თუ როგორ ელიან მავანნი ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე მომზდარ სულ მცირე ინციდენტს, ეს ყველას კარგად მოეხსენება. ერთი სული აქვთ, როდის დაგვაყვედრიან, აი, ჩვენს დაუფიქრებლად გადადგმულ ნაბიჯს რა მოჰყვება! ამის თქმის საშუალება კი არც შინაურს და არც გარეულს არ უნდა მივცეთ.

ჩემპიონატმა, როგორც ვთქვით, კარგად აიღო სტარტი, განვლილ შეხვედრებში საკმაოდ იყო სასიამოვნო სიურპრიზებიც, რამაც უფრო საინტერესო გახადა ჩემპიონატი. და თუ გვინდა, რომ ყველაფერი ასევე გაგრძელდეს, ყველა უნდა გაისარჯოს ამ მიზნის მისაღწევად, არც ერთი, მცირედი დარღვევაც კი, არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ და რეაგირების გარეშე.

სწორედ ამ მიზნით შეიკრიბა 10 აპრილს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარული კომისია, რომელმაც განიხილა პირველ ორ ტურში მომხდარი უწესრიგობანი.

ზუგდიდში, მეორე ტურის მატჩში, ადგილობრივი „ოდიში“ ოზურგეთის „ოზურგეთს“ მასპინძლობდა. სტადიონი ხაზეიმოდ იყო მორთული, ქალაქის ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონა, ჩემპიონატის გახსნის დღე ნამდვილ ზეიმად რომ ექცია. ადგილობრივი სტადიონი 8.200 მაყურებელს იტევს, იმ დღეს კი თამაშზე 12 ათასზე მეტი კაცი მოვიდა. გუნდის „ყველაზე ერთგულნი“ შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე სტუმართა კარს მიუახლოვდნენ და ცდილობდნენ თამაშში ხელი შეეშალათ ოზურგეთელთა კარის დარაჯისთვის. ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარულ კომისიას ახსნა-განმარტებითი საბუთი წარუდგინა შეხვედრის არბიტრმა მ. მალაღურაძემ.— მატჩის დამთავრების შემდეგ ჩვენთან, სამსაჯო ოთახში, შემოვიდნენ გუნდის ხელმძღვანელები და „ოდიშის“ ფეხბურთელი მ. შეროზია, რომლებიც მლანძღავდნენ და მედავებოდნენ იმაში, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში სტუმართა კართან ვერ შევნიშნე დარღვევა და არ დავნიშნე თერთმეტმეტრიანი დარტყმა.

ზუგდიდის „ოდიშისა“ და ოზურგეთის „ოზურგეთის“ მატჩის კომისარი იყო ბათუმელი ი. კუსიდი. აი, რა მოახსენა მან კომისიას: თამაში სამსაჯოდ რთული იყო, მსაჯობით კმაყოფილი ვარ. არავითარი მიკერძოება არ ყოფილა, მაგრამ იყო შეცდომები, რისგანაც დაზღვეული არაა არავინ. დარწმუნებული ვარ, მ. მალაღურაძეზე უფრო გამოცდილ მსაჯებსაც გაუჭირდებოდათ ამ შეხვედრის უნაკლოდ ჩატარება. რაც შეეხება თერთმეტმეტრიანს, მსგავსი ეპიზოდი ამ შეხვედრაში სტუმართა კართან არ ყოფილა.

რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარულმა კომისიამ ზუგდიდის სტადიონი დაჯარიმა 3 ათასი მანეთით. „ოდიშის“ გუნდის უფროსს ჯ. გოგიას მიუთითეს, ხოლო ფეხბურთელი მ. შეროზია დისკვალიფიცირებულია 3 კალენდარული მატჩით.

დარღვევები მოხდა ხობის სტადიონზეც, რომელიც, ისევე როგორც ზუგდიდისა, 3 ათასი მანეთითაა დაჯარიმებული.

დისციპლინარული კომისია კვლავაც მკაცრად მიიქცევს ყურადღებას ჩემპიონატში მომხდარ ყოველგვარ დარღვევას. ეს ახლა აუცილებლად საჭიროა საერთო წესრიგის დასამყარებლად.

**ზაზა კახაძე.**

### ისინი იტალიაში გამოვლენ

# შვეცია

**შვეციის** ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1904 წელს, სამი წლის შემდეგ კი იგი ფიფა-ს შემადგენლობაში შევიდა.

პირველი საერთაშორისო მატჩი ნაკრებმა 1908 წლის 12 ივნისს გამართა ნორვეგიის ეროვნულ გუნდთან და პირდაპირ გაანადგურა მეტოქე — 11:3. შვედი ფეხბურთელები მაღალ ადგილებს იკავებდნენ სხვადასხვა ტურნირში, 1924 და 1952 წლების ოლიმპიადებზე ისინი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ, ხოლო 1948 წლის ოლიმპიადაზე ჩემპიონის წოდებაც მოიპოვეს. ამ დროს შვეციის ნაკრები ევროპის კონტინენტზე უძლიერესად ითვლებოდა.

შვეციის ნაკრებმა დღემდე 6 მსოფლიო ჩემპიონატში (1934, 1938, 1950, 1958, 1974, 1978 წლები) მიიღო მონაწილეობა.

1934 წელს იტალიაში გამართულ პირველობაზე შვედებს მეოთხედფინალში გზა გადაუღობა გერმანიის ძლიერმა გუნდმა. ეს მატჩი გერმანელთა გამარჯვებით — 2:1 დამთავრდა.

1938 წელს შვეციის ნაკრები უბრძოლველად გავიდა მეოთხედფინალში, რადგან მისი მეტოქე ავსტრიის ნაკრები გერმანიის შემადგენლობაში შევიდა და უარი თქვა ფინალურ ტურნირში მონაწილეობაზე.

მეოთხედფინალში შვედებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს კუბის ნაკრები (8:0). ნახევარფინალში მათი მეტოქე იყო უნგრეთის ძლიერი გუნდი, რომელიც ამ ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა. ეს მატჩი უნგრელთა დიდი უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით — 5:1 დამთავრდა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიისა და შვეციის გუნდები, პირველი ტაიმი შვედებმა მოიგეს ანგარიშით 2:1, მაგრამ შემდეგ უპირატესობა მთლიანად ბრაზილიელებმა იგდეს ხელთ და 3 ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში.

1950 წელს ბრაზილიაში გამართულ ჩემპიონატზე შვედებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს ურუგვაელებისა და მასპინძელთა გუნდების შემდეგ. მომდევნო ჩემპიონატში, 1954 წელს, შვედებს მონაწილეობა არ მიუღიათ. 1958 წელს კი მათ ნამდვილი სენსაცია მოახდინეს — ჯერ მეოთხედფინალში დაამარცხეს ოლიმპიური ჩემპიონი — საბჭოთა კავშირის ნაკრები, შემდეგ გფრ-ის ფეხბურთელებს სძლიეს და ფინალში გავიდნენ, სადაც მათ მსოფლიო ფეხბურთის აღიარებული ლიდერი ბრაზილიის ნაკრები ელოდა. ისევე, როგორც 20 წლის წინათ, ეს მატჩიც სამხრეთამერიკელთა გამარჯვებით — 5:2 დამთავრდა. ამის შემდეგ 1962, 1966, 1970 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე შვედებს მონაწილეობა არ მიუღიათ, და არც 1974, 1978 წლებში გამოუჩენიათ თავი. ასე რომ, 1958 წელს მოპოვებული ვიცე-ჩემპიონის სახელი დღემდე მათ ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება.

1989 წელს შვეციის ნაკრებმა 9 მატჩი ჩაატარა (4 შესარჩევი და 5 ამხანაგური). აქედან 6 მოიგო, 1 ფრედ ითამაშა და 2 წააგო.

შესარჩევ მატჩებში შვეციის ნაკრებმა ალბანეთის, ინგლისის პოლონეთის გუნდებთან წარმატებით ითამაშა, რაც შეეხება ამხანაგურ მატჩებს, მან 5 შეხვედრიდან 3 მოიგო და 2 წააგო. ერთნაირი ანგარიშით (2:0) დაამარცხა უელსისა და ალჟირის გუნდები, მინიმალური ანგარიშით 2:1 მოუგო ბრაზილიის ეროვნულ გუნდს, შემდეგ კი, ყველასთვის მოულოდნელად, გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა დანიის ნაკრებთან — 0:6. მერეც ანგარიშით 2:4 წააგო საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან.

ამ მატჩებში შვეციის ნაკრების ღირსებას იცავდნენ მეკარეები — ტრაველი (30 წელი), ერიქსონი (26); მცველები — ნილსონი (26), ლიონი (28), ლენგი (23), შილერი (24), ა. რაველი (30), ჰიუსენი (30), ლარსონი (28); შუა ხაზისა და თავდასხმის მოთამაშეები — ლიმპარი (24), ტერნი (22), პრიტცი (31), ნილსონი (23), სტრიომბერგი (31), ენკვისტი (27), გრენი (26), რენი (23), მაგნუსონი (26), ექსტრიომი (24), პეტერსონი (26), ლარსონი (23), ჰელსტრიომი (31), ლუნდკვისტი (23).

ნაკრების მთავარი მწვრთნელია 40 წლის ულე ნურდინი.

**ბიბა ბაჩავა.**



## სსრ კავშირის ჩემპიონატი

**10 მარტს** შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის VII ტურის სამი მატჩი: „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, „შახტიორი“ (დონეცკი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:0, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:2.

გაიმართა, აგრეთვე, I ლიგის გუნდების შეხვედრებიც: „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ლოკომოტივი“ (გორკი) 2:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 0:1, „ტირასი“ (ტირასპოლი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:0, „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 0:1 „ნეფტჩი“ (ბაქო) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 3:0.

# შვიდკაცა: ჩვენთან და...

(დასასრული)

აწყდა: სამხატვრო აკადემიის პირველმა გუნდმა უკომპრომისო ბრძოლაში დაუთმო გამარჯვება ძლიერ მეტოქეს (10:12). წინასწარ თამაშებში გამოირჩეოდა გარე ნახევარმცველი გოჩა ბარძიმიშვილი, რომელმაც 4 ლელო გაიტანა. მეორე ფინალისტმა, „სტუ-მეორე“-მ, პირველ წრეში უკანასკნელ წამებზე გატანილი ლელოს წყალობით აჯობა „ზოოვეტ-პირველს“, მეორე წრეში კი ყველასათვის მოულოდნელი ანგარიშით (16:0) დაამარცხა „თსუ-პირველი“. აღსანიშნავია სტუ-ს ამ შემადგენლობის შუამარბი სპირიდონ ლიპარტელიანი. ძირითადად მისმა ზუსტმა მოქმედებამ დაცვაში და სახიფათო შეტევებმა განაირობა ტექნიკოსთა ფინალში გასვლა. ვფიქრობთ, სპირიდონის სახით „ლიპარტელიანთა სარაგბო საგვარეულოს“ მომავალში კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი შეემატება.

მეშვიდე ადგილისათვის გამართულ შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან აქ დამარცხებული ჭარგავდა მომავალ „სტუდენტურ შვიდკაცაში“ მონაწილეობის უფლებას. მძიმე ბრძოლის შედეგად „აკადემია-მეორემ“ დაამარცხა „ზოოვეტი-მეორე“ (14:13) და შეინარჩუნა ადგილი „მზის ქვეშ“.

საერთოდ, ზოოვეტელები, როგორც ჩანს, სერიოზულად არ მომზადებულან ამ შეჯიბრებისათვის, ვინაიდან ეს ბრძოლისუნარიანი კოლექტივი მისთვის ჩვეული თავდადებით ვერ თამაშობდა. ზოოვეტელებს სანუგეშოდ რჩებათ მათი პირველი გუნდის მეხუთე ადგილი, რომელიც „თსუ-მეორესთან“ პაექრობაში მოიპოვეს.

მესამე ადგილს ერთმანეთს შეეცილნენ სამხატვრო აკადემიისა და უნივერსიტეტის პირველი გუნდები. თამაშის შუაწელში დათო გიგაურის მიერ გატანილმა ლელომ აკადემიელებს გამარჯვება (7:0) მოუტანა. მესამე საპრიზო ადგილი, ვფიქრობთ, კარგი სტიმული უნდა იყოს ამ ახალაღდგენილი, უაღრესად საინტერესო გუნდის მოთამაშეთათვის და მათი ახალგაზრდა მწვრთნელის პაატა ნარიმანაშვილისთვის.

ფინალი, როგორც აღინიშნა, ტექნიკოსთა „შინაურ საქმედ“ იქცა.

ანგარიში პირველმა გუნდმა გახსნა. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა კახა კობახიძემ, რამდენიმე მოწინააღმდეგესთან ჭიდილში, გაარღვია დაცვის ხაზი და შეტევა ლელოთი დააგვირგვინა. მეორე გუნდი თითქოს ამას ელოდაო — მან შესვენებამდე ამოსუნთქვის საშუალება აღარ მისცა მეტოქეს. განსაკუთრებით აქტიურობდა ბაკურ ფირიაშვილი, რომლის მიერ გატანილმა ორმა ლელომ დააწინაურა „სტუ-მეორე“ — 10:4.

შესვენების შემდეგ სურათი ძირფესვიანად შეიცვალა. ამჯერად პირველი გუნდის უფრო გამოცდილმა მოთამაშეებმა იძალეს. ჯერ გარემარბმა დათო ჯაფარიძემ მოხდენილი ცრუ მოძრაობებით აუარა გვერდი რამდენიმე მეტოქეს და ამირან თეზელაშვილს ლელო გაატანინა. თამაშის მიწურულს კი თავად თეზელაშვილმა განახორციელა შორკინალისათვის ერთობ უჩვეულო, 60-მეტრიანი გარღვევა და ლელოთი დააწინაურა თავისი გუნდი. დარჩენილ დროში, მიუხედავად მოწინააღმდეგეთა მწვავე იერიშებისა, ანგარიში აღარ შეცვლილა — 12:10.

ტექნიკური უნივერსიტეტის პირველმა გუნდმა ღირსეული გამარჯვება მოიპოვა. მისმა წევრებმა ყველაზე უკეთ დაიცვეს „შვიდკაცას“ ძირითადი პრინციპი: მეტოქეებს შესთავაზეს სწრაფი, გაშლილი თამაში, რამაც განაპირობა კიდეც „პირველთა“ წარმატება.

აღსანიშნავია, რომ დიდი ტრადიციების მქონე სტუ-ს გუნდი (მწვრთნელები ლაშა გეგენავა და ბიძინა გეგიძე) იბრუნებს ძველ „დიდებას“. გუნდის შემდგომ დოსტატებაში მთავარი როლი უნდა შეასრულოს — სტუ-ში სარაგბო კლუბის ჩამოყალიბებამ, რაც ბიუროკრატიული წინაღობების გამო, უსაშველოდ გაჯანჯლდა.

მაშ ასე, დამთავრდა პირველი „სტუდენტური შვიდკაცა“. მიუხედავად წარმოჩენილი სირთულეებისა, მაყურებელმა იხილა ლამაზი, უშედავათო და ვაჟკაცური ორთაბრძოლები. შეჯიბრების მეურვეებს კი უმორჩილესად გვინდა ვთხოვოთ, რომ მომავალი „სტუდენტური შვიდკაცას“ მიმართ არ იუვნენ ასე გულგრილნი და მის ორგანიზაციულ მხარეზეც იფიქრონ.

**მერაბ რატიშვილი.**

* * *

## ...საზღვარგარეთ

ერთი კვირით ადრე ჰონკონგშიც, დიდი ბრიტანეთის სამეფო საგვარეულოს ამ ჩინურ საშფლობელოში, გაიმართა საშვიდკაცო შეჯიბრება, რომელშიც 24 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საერთოდ, „ჰონკონგის შვიდკაცა“ ბოლო დროს მსოფლიოს უძლიერეს გუნდებს იზიდავს, რის გამოც რაგბის ამ ნაირსახეობის არაოფიციალურ მსოფლიო პირველობად ითვლება.

შეჯიბრება ბოლო წლებში ტრადიციად ქცეული ფორმულით მოეწყო. შაბათს რვა ქვეჯგუფად დაყოფილმა მონაწილეებმა წრიულად ისპარეზეს, კვირას კი ოლიმპიური სისტემით გააგრძელეს ბრძოლა: ქვეჯგუფებში გამარჯვებულები თასისთვის იბრძოდნენ, მეორე ადგილზე გასულები — ლანგრისთვის, „მაჩანჩალები“ — ლარნაკისთვის.

პირველ დღეს მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ფავორიტები — ახალი ზელანდიის, შოტლანდიის („საზღვრისპირელები“, ე. ი. სამხრეთშოტლანდიელები), ინგლისის („ბარბაროსები“), დასავლეთ სამოას, ავსტრალიისა და ფიჯის გუნდები იოლად გაუსწორდნენ მეტოქეებს და სათასო შეჯიბრებისაკენ გაიკვალეს გზა. განთესილთაგან გაუჭირდათ მხოლოდ უელსისა და ტონგას გუნდებს: ბრიტანელებმა რის ვაინაჩრობით სძლიეს მასპინძლებს — 6:4, პოლინეზიელებმა კი შეხვედრის ბოლო წამებზე დაამარცხეს „რუსი დათვები“ (სსრ კავშირი) — 18:16.

კვირას თამაშები. ფრიად საინტერესოდ წარიმართა. თასის მეოთხედფინალში უელსელებმა მოულოდნელად სძლიეს მეორე ნომრად განთესილ ავსტრალიელებს (16:10), მეზობლების — ფიჯისა და ტონგას შეხვედრაში იმარჯვეს პირველებმა (30:12), „ბარბაროსებმა“ აჯობეს სამოელებს, შოტლანდიელმა „საზღვრისპირელებმა“ კი, მართალია, განუწყვეტელი პრესინგითა და შეუპოვარი დაცვით, ერთი პირობა, შავ დღეში ჩააყენეს ახალი ზელანდიის გუნდი, მაგრამ ბოლოსდა ბოლოს მაინც წააგეს — 12:20.

ნახევარფინალში ფიჯის გუნდმა დამაჯერებლად მოუგო უელსელებს — 34:6, ახალზელანდიელებმა კი „ბარბაროსებს“ სძლიეს — 24:6. შემდეგ იყო ფინალი, რომელიც სენსაციურად დამთავრდა: თავიდან ახალზელანდიელები დაწინაურდნენ — 12:0, მაგრამ შვიდკაცას ჯადოქრებად ცნობილმა ფიჯელებმა შოტლანდიელებს მიბაძეს, ზეაგრესიული დაცვით მსოფლიო ჩემპიონებს გასაქანი არ მისცეს და ფანტასტიკურად შთამბეჭდავი ოცწუთიანი თამაშიც მოუგეს — 22:12, რითაც, 28 ათასი მაყურებლის გასახარად, გააქარწყლეს ახალზელანდიელთა უძლეველობის მითი.

ლანგრისათვის გამართულ ფინალში ჰონკონგის გუნდმა იაპონიის ნაკრები დაამარცხა, ლარნაკი კი დასავლეთ გერმანიის გუნდმა მოიგო. უკვე ნახსენები გუნდების გარდა, შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჰოლანდიის, მალაიზიის, სინგაპურის, აშშ-ის, ტაილანდის, პაპუა ახალი გვინეის, „არაბთა ყურის“ და რაგბის სხვა კავშირების მორაგბეები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულ 24 გუნდი.

# უკანასკნელი სიტყვა მეგობარს



**გარდაიცვალა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სამბოში, საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი, ქართული ჭიდაობის შესანიშნავი სპეციალისტი და პროპაგანდისტი ვალერიან (ვალიკო) მარიამული.**

**გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ვინახულე. ხევდიანი ღიმილით მითხრა: ავადმყოფობამ იხეთი „ილეთი“ გამიკეთა, უთუოდ „სუფთად მომიგებსო.“ ნაძალადევად გავიცინე და ვანუგეშე, მაგრამ სამწუხაროდ სულ მალე გაირკვა რომ არ უუმრია... ავადმყოფობამ წააქცია.**

**სიცოცხლეში გაქებდნენ ბევრს არაფერს ნიშნავსო, თქვა ერთხელ. არა და, როცა მის კაცურ კაცობას იხსენებ, რწმუნდები, რომ ეს კაცი სიცოცხლეშივე იყო პატივსაცემი.**

**სწორედ მისი დიდი დამსახურებაა, რომ ჭიდაობა ეხოდენ პოპულარულია საოფელ დედოლმში. ამ საოფლის სპორტსმენთა თვალსაჩინო გამარჯვებებიც მაშინ დაიწყო, როცა ვალიკო მარიამულმა ხაქვეყნოდ ცნობილი მწვრთნელის ქრისტეფორე ნინაშვილის ხელმძღვანელობით პირველად დალაშქრა უმაღლესი სპორტული მწვერვალი და ქვეყნის ჩემპიონი გახდა.**

**ვინ მოთვლის, რამდენი ახალგაზრდა გაჰყვა წინამორბედის კვალს. მათი სახელები კარგადაა ცნობილი სპორტის მოყვარულთა შორის.**

**ზემოთ ვალიკოს კაცური კაცობა ვახსენე, იგი ამ მხრივაც გამორჩეული იყო. ამის უტყუარი მაგალითია მისი მეგობრებისა და თანასოფლელების უსაზღვრო მწუხარება და ალალი ცრემლი. ოთხი შვილის მამა ნაადრევად წავიდა ჩვენგან. დავკარგეთ კიდევ ერთი მამულიშვილი. მისი სიკვდილი, უსათუოდ დაეტყობა ქართულ სპორტსა და მშობლიურ საოფელს.**

**პავლე პატარაქალიშვილი.**

# ქერადღება, კონკურსი!

**საქართველოს უმაღლესი სახწავლებლების სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის აღმასრულებული კომიტეტი აცხადებს კონკურსს ასოციაციის ემბლემის შესაქმნელად.**

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს მიერ გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები:

— პირველი პრემია — 500 მანეთი,

— მეორე პრემია — 300 მანეთი,

— მესამე პრემია — 100 მანეთი,

**კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა მსურველს.**

ემბლემის ესკიზები წარმოდგენილი უნდა იქნას 15 მაისამდე ასოციაციის აღმასკომში (წერეთლის პრ. 95-ა), როგორც ფოსტის მეშვეობით, ისე პირადად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონებით: 34-81-29, 34-80-67.

**სტუდენტთა სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის აღმასკომი.**

## ინფორმაცია

**ლაგუნა-სეკი (აშშ).** მოტოციკლისტთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ეტაპი ამერიკელმა უეინ რეინმ მოიგო. საინტერესოა, რომ დისტანცია ბოლომდე ვერ დაამთავრა 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ავსტრალიელმა უეინ გარდნერმა.

**ბანგკოკი.** აქ დამთავრებულ მოკრივეთა სამეფო თასის გათამაშებაში წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათ ანგარიშზეა შვიდი ოქროს და თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი.

**რედაქტორის მოადგილე**

**უ. ჯიჯინაძე.**

**თბილისის სახელმწიფო იპოდრომს ახალი ცხენთგამოცდისათვის ესაჭიროება მთავარი მხაჯი. რომელსაც, სასურველია, ჰქონდეს ზოოტექნიკური განათლება და საცხენოსნო სპორტში მუშაობის გამოცდილება.**

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა 30 აპრილამდე განცხადებით უნდა მიმართონ იპოდრომის დირექციას.

**ცნობისათვის დარეკეთ — 39-10-52.**

**იპოდრომის დირექცია**

**20-22 აპრილს საქართველოს საბილიარდო სპორტის ასოციაცია ბიწვევთ საალდგომო ტურნირზე ბილიარდში ვერის ბაღში მდებარე ბავშვთა კალათბურთის სასახლეში**

**დასაწყისი 12 საათზე.**

**ტურნირის სპონსორია ახალგაზრდული სპორტული გაერთიანება.**

საქართველოს სპორტსაბჭომის აპარატისა და გაზეთ „ლელოს“ რედაქციის თანამშრომლები უთანაგრძნობენ სპორტსაბჭომის თანამშრომელ მიხეილ ნანიჯანიანს მეუღლის

**ასმიკ ახატუროვას**

გარდაცვალების გამო.

# დიალოგი რაგბის შესახებ

**ხვალ** სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე გაიმართება მორაგბეთა საერთაშორისო შეხვედრა. საქართველოში სტუმრად მყოფი პარიზის უნივერსიტეტების გუნდი ჩვენს სტუდენტურ ნაკრებს ეთამაშება.

თბილისის სტუდენტური ნაკრების მწვრთნელებმა — გიორგი სურმავამ და ლაშა გეგენავამ წინდაწინ დაასახელეს მასპინძელთა გუნდის სავარაუდო შემადგენლობა — 21 სტუდენტი მორაგბე. აი, ისინიც:

**უკანა ხაზის მოთამაშეები:** ნიკო იურინი (სსი „შევარდენი“), ლევან მგელაძე და გიორგი შენგელაია (ორივე — თსუ), დემირ ძნელაძე და ირაკლი დვალი (ორივე — „შიმინო“), დათო ჯაფარიძე, გოჩა ბარძიმიშვილი და ირაკლი გიორხელიძე (სამივე — სტუ).

**მორკინალები:** ბაკურ ფირიაშვილი, რატი დოლიძე, ვიქტორ დიდებულიძე და კახა კობახიძე (ოთხივე — სტუ), რეზო ალავიძე, სულხან სულხანიშვილი, დიმიტრი ობოლაძე (სამივე — „შიმინო“), დათო გურგენიძე, კახა ჯმუხაძე, ზურაბ თურქაძე (სამივე — თსუ), ზაზა ღვინიაშვილი (სამხატვრო აკადემია), დათო სორდია და ნუგზარ მგელაძე (ორივე — სსი „შევარდენი“).

შეხვედრის დასაწყისი 4 საათზე.

თამაშზე დასწრების მსურველებს ვაცნობებთ, რომ სტადიონამდე მგზავრობა შესაძლებელია 27 და 54 სვლაგეზის ავტობუსებით.

**„სპორტპროგნოზი“ მე-16 ტირაჟის პროგრამა (20-22 აპრილი)**

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **მსოფლიო ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (შვეიცარია)** | | | | |
| 1. აშშ — შვეიცია | 20.IV | 20 | 20 | 60 |
| 2. გფრ — ჩეხოსლოვაკია | 20.IV | 10 | 10 | 80 |
| 3. ფინეთი — სსრ კავშირი | 20.IV | 10 | 20 | 70 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 4. „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) | 21.IV | 20 | 40 | 40 |
| 5. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 21.IV | 70 | 20 | 10 |
| 6. „დინამო“ (კიევი) — „შახტიორი“ (დონეცკი) | 21.IV | 70 | 20 | 10 |
| 7. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 22.IV | 30 | 60 | 10 |
| **მსოფლიო ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (შვეიცარია)** | | | | |
| 8. აშშ — გფრ | 22.IV | 70 | 20 | 10 |
| 9. სსრ კავშირი — შვეიცია | 22.IV | 60 | 20 | 20 |
| 10. კანადა — ჩეხოსლოვაკია | 22.IV | 40 | 10 | 50 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 11. „ვერონა“ (ვერონა) — „მილანი“ (მილანი) | 22.IV | 10 | 50 | 40 |
| 12. „იუვენტუსი“ (ტურინი) — „რომა“ (რომი) | 22.IV | 40 | 50 | 10 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 13. „მალიორკა“ — „სევილია“ (სევილია) | 22.IV | 20 | 70 | 10 |

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380008, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 98-97-55, სამდივანი — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58, „შერანი“ — 98-97-26, „მარიგე“ — 98-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66425**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380008, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთი კორპუსში: ხიშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779